პარასკევი, 1917 წ. ღვინობისთვის 27 (9) № 237
წელიწადი მესამე

პარასკევი, 1917 წ. ღვინობისთვის 27 (9) № 237
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

პეტროგრადის ტელეგრაფი სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტს დაუჭერია; საagentო იუწყება მომხდარ ამბებზე ცნობებს ველარ მოგაწვდითო.—პეტროგრადის საბჭოს მენშევიკები სარევოლუციო კომიტეტში მონაწილეობას არ იღებენ.—თბილისში მოსულ ცნობებით მთავარ ბანაკიდან პეტროგრადისკენ კერენსკის ჯარი მიჰყავს.

წერილებიდან

ბივი გოლლენდი. ბოლშევიკების აჯანყება.
ქართლელი. იტალიის ფრონტის გარღვევა.
რუსული პრესა. ყაზახები და ბოლშევიკები.

დ. კასრაძე. ფრანგი ჟურნალისტი ჩვენს რედაქციაში.
ზ. ედილი. აფხაზეთის სიწმინდენი.
ბარრიკი. ჩვენი ტყე.
კორესპონდენცია. ხევიდან.

ამიერ კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის რეზოლუციები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის სია
№ 8
რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის

1. **ძიძია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჩაბარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—ჟურნალისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის
თბილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცნობებს მოქალაქეთ, რომ დამფუძნებელ კრების საარჩევნო, თბილისის ამომრჩეველთა სიები უკვე დასრულებულია და მათი ნახვა შეიძლება ღვინობისთვის 27-დე შემდეგს ადგილებში: ქალაქის გამგეობის სათათბირო დარბაზში თბილისის ყველა მცხოვრებთათვის. სიების ნახვა შეიძლება აგრეთვე უბნების შემდეგ ადგილებში

1-ლი უბნის—ქალაქის სკოლაში, მაჩაბლის სახლი, ოლღას ქუჩა № 52.
მე-2-ე უბნის—არტისტიულ საზოგადოების საზამთრო შენობაში.
მე-3-ე უბნის—ქალაქის გამგეობაში.
მე-4-ე უბნის—სახელოსნო სასწავლებელში.
მე-5-ე უბნის—ქალაქის სამკურნალოში ვორონცოვის ქუჩაზე.
მე-6-ე უბნის—ნადეჟდის თავშესაფარში რეიტერის ქუჩაზე.
მე-7-ე უბნის—ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში.
მე-8-ე უბნის—ქალაქის სკოლაში პანასევიჩის ქუჩაზე.
მე-9-ე უბნის—ქალაქის სკოლაში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 32.
მე-10-ე უბნის—ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში.
მე-11-ე უბნის—ქალაქის სკოლაში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 100.
მე-12-ე უბნის—საბრეშუმო სადგურზე (მუშტაიდში).

ამომრჩევლებს შეუძლიათ ღვინობისთვის 27-დე სიების შეცდომებზე ქალაქის გამგეობაში საჩივრები შეიტანონ.

საჩივრების შეტანა შეიძლება 10 საათიდან—3 საათამდე და საღამო 7-დან 9-მდე.

ეროვ.-დემ. პარტიის 1 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს ღვინობისთვის 28 ს. საღამოს, 7 საათზე ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება საზოგადო კრება.

1) მოხსენებას წაიკითხავს შალვა ქარუმიძე „ჩვენ და დამფუძნებელი კრება".

2) გრიგოლი ვეშაპელი: დამფუძნებელ კრების დებულებანი.

ყველა წევრებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

(3—1) **კომიტეტი.**

ეროვნ.-დემ. პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ კვირას, ღვინობისთვის 29-ს, საღამოს 7 საათზე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში (ტურგენევის ქუჩა 4 ნომერი) იწვევს საზოგადო კრებას. მოხსენებას წაიკითხავს გიორგი გორდეზიანი „საარჩევნო კამპანია და ჩვენ".

ყველა წევრთა და თანამგრძნობთ ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

(4—1) **კომიტეტი**

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის
მე-10 და მე-12 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს ღვინობისთვის 28-ს მე-3 მომრიგებელ მოსამართლის სადგომში დანიშნულია ხსენებულ უბნებში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო კრება დილის 11 საათზე.

კრების საგანია:

1) დამფუძნებელი კრების არჩევნები.
2) საპროგრამო საკითხები.
3) რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური მომენტი.
4) საორგანიზაციო საქმეები უბნისა.

ვთხოვთ წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრონ კრებას.

3—1

საქართ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
ხიდისთავის კომიტეტი

(გურია) ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე საკუთარ პარტიულ კლუბში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის
პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ეგნატე იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ლერმონტოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ღუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

სახლის კომიტეტები

სახლების რწმუნებული კომიტეტები საჭირონი არიან რიგთან საბრძოლველად.

სახლების რწმუნებული კომიტეტები გიხსნით თქვენ ფურნისა და მაღაზიების წინაშე რიგში დგომისაგან.

სახლების რწმუნებული კომიტეტები თქვენი ინტერესის წარმომადგენლები იქნებიან სასურსათო ორგანოსთან. ისინი იზრუნებენ თქვენ საჭიროებისათვის, თვითვე გაგინაწილებენ სასურსათო ბარათებს.

ის სახლი, სადაც 100 სული ცხოვრობს 1 რწმუნებულს ირჩევს. ხოლო თუ მცხოვრებთა რიცხვი 100 აღემატება—ირჩევენ სახლის კომიტეტს. კომიტეტში შედის თითო წარმომადგენელი ყოველ 50 კაცზე. იმ სახლებს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ასამდე არ აღწევს—შეერთების უფლება აქვთ.

მოქალაქენო! არჩევნები გიორგობისთვის პირველისათვის მოხდება. საჭირო ცნობებს ინსტრუქტორები მოგაწვდიანთ ისინი კარდაკარ დაივლიან. ცნობების მიღება შეიძლება აგრეთვე უბნის სასურსათო კომიტეტებში.

(2—815—1)

ეროვნ.-დემ. პარტიის მე-9 და მე-12 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ კვირას ღვინობისთვის 29-ს დილის 1½ საათზე ხარფუხში გაიმართება საზოგადო კრება.

მოხსენებას წაიკითხავს გრიგოლ ვეშაპელი „დამფუძნებელი კრება და ჩვენ". ყველა წევრს და თანამგრძნობთ ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

(4—1) **კომიტეტი.**

პურის ბარათები

ღვინობისთვის 27-დან პურის ბარათები უნდა გამოიცვალოს. ბარათებს გამოსცვლიან უბნის სასურსათო კომიტეტებში და მათ მიერ ნაჩვენებ პურის დუქნებში.

პურის ბარათის მისაღებად საჭიროა შაქრისა და პურის ძველ ბარათის წარდგენა. თუ ოჯახის შემადგენლობა შეიცვალა (ან მიემატა ვინმე და ან დააკლდა). ეს ბარათის გამოცვლის დროს უნდა განაცხადოთ. ასეთ განცხადებებს მხოლოდ უბნის სასურსათო კომიტეტები იღებს. მათ უნდა მიმართოთ.

კოლექტიურ ბარათებს ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიურო გამოსცვლის. თუ შაქრის ბარათს არ წარუდგენთ პურის ბარათს არ გამოგიცვლიანთ. ბარათების დარიგების შემდეგ ყველა ოჯახთა შემადგენლობას შეამოწმებენ და თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ოჯახს მეტი წევრი ყავს ჩაწერილი—პურის ბარათი წაერთმევა და პასუხის მგებლობაში მიეცემა.

3—816—1

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4.

თ—766—25

ამიერ-კავკას. სააფთიაქო საქონ. მოვაჭრეთა
სააქციონერო საზოგადოების

დამაარსებელი მოუწოდებს მაღაზიათა მფლობელებს, სააფთიაქო საწყობების პატრონთ და ფარმაცევტებს მობრძანდნენ კრებაზე ქალაქ ქუთაისში ღვინობისთვის 29-დან—31-მდე. კრებაზე განსახილველია საზოგადოების წესდება. ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების დამაარსებელ ლ. კოკოჩაშვილთან.

(2—855—1)

თბილისის ხელოსანთა
კლუბი

პარასკევს, ღვინობისთვის 27, დილის 9 საათზე დანიშნულია წევრთა არა ჩვეულებრივი საგანგებო კრება. თუ წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, კრება ხელმეორედ შესდგება ღვინობისთვის 29 დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები: 1) საზამთრო თეატრის შენობის საკითხი; 2) მიმდინარე საქმეები და 3) წევრთა კანდიდატების არჩევა.

1—858—1

ოზურგ. სასულიერო სასწავლებ.
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ აღნიშნულს სასწავლებელში სწავლა დაიწყო 16 ამა ოქტომბერს.

1—1

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 11.

ორშაბათს, 30 ოქტომბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ძალა აღმართსა ხნავს

კომ. 4 მოქმ. ვალ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ე., ქიქოძე ან., ჩერქეზიშვილი ელ., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., შალიკაშვილი ვ.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 2 ნოემბერს.

(2--814--1)

ექიმის თანაშემწე
ვანო სამთაშვილი

დებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყბავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

37—748—თ.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—11

ბოლშევიკების აჯანყება

რუსეთის რევოლუციამ იმ თავითვე უცნაური მიმართულება მიიღო: იმის მაგიერ, რომ იგი წმინდა სარევოლუციო გზით განვითარებულიყო, ანარქიის საშინელ ფრთებს ჩაუვარდა იგი. ვინ არის ამაში დამნაშავე, ამას მომავალი ისტორია გასცემს მიუკერძოებელს პასუხს. ახლა კი მხოლოდ სამი სოციალ-პოლიტიკურის ელემენტის ურთიერთობა გვიჩვენებს ვითომ რევოლუციის ამგვარი გზით წასვლას. პირველი ელემენტი კადეტურია, რომლის სწრაფვა ბურჟუაზული დემოკრატიის წყობილების დადგენაა; მეორე ელემენტი ბოლშევიკური, რომელიც ისწრაფვის სოციალისტური რესპუბლიკის ეხლავე დამყარებას; მესამე ელემენტი მენშევიკების გარშემო იყრის თავს: იგი არ მიჰყვება ბოლშევიზმს, მაგრამ კადეტებსაც საეჭვო და უნდო თვალით უცქერის. თუ რომელი ელემენტია მართალი, ამის გამოცნობა ფრიად საძნელოა, რადგან შეცნობილი სფეროს მაგიერ პირდაპირ სტიქიურ ალიევებთან გვაქვს საქმე...

მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: რომელი ელემენტი არის (ან იქნება) დღეს-დღეობით ამ ელემენტებში ყველაზე უფრო ძლიერი: ეს ელემენტი უთუოდ ბოლშევიზმია,—და აი რატომ. როგორიც უნდა იყოს სახელმწიფოს გარდაქმნა, ფიზიკური ძალა უთუოდ საჭიროა (manu mifitari): უამისოდ სახელმწიფო წარმოუდგენელია: სახელმწიფოს გარეშე კი, მხოლოდ ანგელოზებს და ცხოველებს შეუძლიათ ცხოვრება. ახლა ავიღოთ რუსეთის ჯარი: რომელი ელემენტის მხარეს მიიღებდა იგი: მართალია, თვითმპყრობელობამ ისიც გარყვნა,—მაგრამ ისიც მართალია, მისი არევდარევა ახალმა სამილიტარო პრინციპებმა გამოიწვია: ის, რაც რომ ხანგრძლივი კულტურის ნაყოფად შეიძლება გამოვიდეს, შეუძლებელია ერთი დაკვრით (ან ისიც ომის წარმოების დროს) წარმოიშვას. და რკინის დისციპლინის მაგიერ, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყოველს ჯარს, ჩვენ ვხედავთ არევის სურათს, საცა უმცროსი უფროსს ვეღარ ცნობილობს. დაუმატეთ ამას: დასუსტება ჯარის მორალურად და ფიზიკურად, სიცივე, სიმშილი, ჩაუცმელობა და სხვა,—და თქვენ უდავოთ მიიღებთ, რომ რუსეთის ჯარში პოტენციურად უფრო ბოლშევიზმის სული სცოცხლობს, ვიდრე სხვა რომელიმე ელემენტისა. ასეთი სული კი (და ისიც ომის დროს) უთუოდ ანარქიისაკენ ხრის სასწორს.

გარდა ამისა: თვითონ სახელმწიფოყოფა რუსეთის შიგნით ანარქიისაკენ უნდა გადახრილიყო. ეკონომიურად ჩამორჩენილი, ომში რუსეთი სრულიად დაქვეითდა. წარმოება დაეცა და ტრანსპორტი ჩაკვდა. სიმბოლიურად ამას მრავალი „კუდები“ გამოხატავენ. უკანასკნელ დროს ის ცნობაც მოვიდა, რომ აი ნოემბრიდან გარდა საფოსტო მატარებლისა ყოველი სხვა გაუქმებულ იქნება. დაეცა აგრეთვე თვითონ სამუშაო ძალის ინტენსივობა და მონდომება. ორი დღის უკან სატახტო ქალაქებმა ასეთი ცნობა გადმოგვცეს: ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო ყრილობამ გადასწყვიტა—ერთადერთი ხსნა რკინის გზების მახტერებისა და მაშინისტების ამერიკიდან გამოწვევაო. გარდა ამისა: გახშირდა „პოგრომები“ როგორც აგრარული და ქალაქების, ისე ებრაული. ბოლო დროის ცნობები სავსეა ამ სახის „პოგრომების“ საშინელებით. დაუმატეთ ამას კიდევ ერთი მომენტი—რუსეთის სხვა და სხვა ერთა დეცენტრალისტური მიდრეკილება,—და თქვენ მიიღებთ რუსეთის როგორც მთელის ანარქიისაკენ გაქანებას.

აი ასეთს დროს, როცა მთელი რუსეთი უფსკრულისაკენ მიექანება, კადეტები ჯარის გაჯანსაღებაზე და ომის გაგრძელებაზე ფიქრობენ, მენშევიკები და ესერები იმედებს პარიზის კონფერენციაზე ამყარებენ,—ბოლშევიკები და მაქსიმალისტები კი თვითონ ამ ანარქიას მიჰყვებიან. მკითხველისათვის ცხადია, რომ ანარქია იმარჯვებს და მასთან ერთად მისი იდეოლოგებიც.

გუშინ საგულისხმო ცნობები მოვიდა. პეტროგრადში დაარსდა სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსი (ბოლშევიკებისა უმთავრესად) ამ კომიტეტს ბრძანება გაუცია პეტროგრადის გარნიზონის მიმართ—არ დაემორჩილოს იგი არც ერთს მოწოდებას დროებითი მთავრობისას, თუ იგი მოწოდება დადასტურებული არ იქნება აწყობილი კომიტეტით. ამით უკვე ომია გამოცხადებული ბოლშევიკების მიერ დროებითს მთავრობასთან. როგორც გადმოგვცემენ, ბოლშევიკებს უკვე დაუკავებიათ რამდენიმე პუნქტი: ფინლიანდიის ვაგზალი, ნიკოლოზის ხიდი და სხვა. საქმე იქამდისაც კი მისულა, რომ პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტო ბოლშევიკებს ჩაუგდიათ ხელში. ერთი სიტყვით, ჩრდილოეთის ლიგა ღრუბლები საშიშროებით გადმოგვცქერიან.

ასეთია საქმის ვითარება. ადვილი შესაძლებელია, ამ შეხლაში ბოლშევიზმი გამოვიდეს გამარჯვებული. ახლა თუ არა, ახლო მომავალში მაინც, რადგან რუსეთის დღევანდელი ტენდენცია აქეთკენაა მიმართული (რასაკვირველია, თუ ეს ტენდენცია რაიმე გარეშე ძალამ არა შესცვალა). მაგრამ ნურავის დაავიწყდება ერთი რამ: **ვინც იმარჯვებს ანარქიით, იგი იმავე ანარქიით დაიღუპება. და ამ მხრით არც** ბოლშევიზმია საშიშო.

კერძოთ კავკასიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის ერთი რამ არის საჭირო: ნუ ვიქნებით უბრალო მორჩილნი იმ ფანტაზიებისა, რაიც პეტროგრადის ნისლში მოელანდებათ. ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს,—და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვისპოთ.

გიგი გოლდენდი.

იტალიის ფრონტის გარღვევა

იტალიამ საბედისწერო ომის კონცერტში შესდგა ფეხი და ორი წლის განმავლობაში თითქმის ბედნიერად სთვლიდა თავს. ჯერ კიდევ ომის ჩარევის დღეებში გაიგონებდით თვით სახელმწიფო ისეთ კაცთაგანაც კი, როგორიცაა სალანდრა და სონინო, შემდეგს სიმღერებს:

„ვიდრე მოვა გაზაფხული,
კარს გაუღებს ყვავილებსა,
ამაყ ბერლინის რუსის ჯარნი
დამტვრევენ თავზე ხმლებსა“.

ომს მოგებულად სთვლიდნენ. მათი ჯარები გენერალისიმუს კადორნას ხელმძღვანელობით სწრაფად გამართნენ ავსტრიის საზღვრებისაკენ და შესანიშნავი სტრატეგიული ადგილებიც დაიჭირეს, მდინარე იზონცოზე, იულიუსის ალპების ჩრდილოეთით. ერთი სიტყვით, ალპების გასავალების ყოველი გასაღები ხელთ იგდეს.

მაგრამ პირველ ხანებშივე შეიტყო, რომ ომის სასწორი არც ისე რიგად იყო გადახრილი მოკავშირეთა სასარგებლოდ, როგორც ამას იმედოვნებდნენ. იტალიელთა შეტევა ავსტრიაში დროზე შეჩერებულ იქმნა და „გაზაფხულამდე რუსთა ხიშტებით ბერლინის გადაქცევაც“ უკუღმა მხარით შეიცვალა და მის მოლოდინში დაეცა ვარშავა, რიგა...

მთელს ამ ხნის განმავლობაში ავსტრო-გერმანელებს არ ეცალათ იტალიელებისთვის. მხოლოდ მაშინ, როდესაც საკმაოდ დასუსტებულ იქმნა რუსეთის მხედრობა, გერმანეთის მთავარმა შტაბმა გადასწყვიტა იტალიის ჯარშიც ბრძოლის უნარის ჩაკვლა. ამ მიზნით ამონიშნეს ვენეციის ვრცელი ოლქი, ამისთვისვე წინა ჯარებს თავი მოუყარეს იულის ალპების კალთებზე უდინეს მიმართულებით, სადაც თავმოყრილია ფრიად საგულისხმიერო რკინის გზები, მთელ ჩრდილოეთ იტალიის ლაშქართა სამოძრაოდ და აქეთ-იქით ჯარების სწრაფად გადასაყვანად. მაშასადამე, გერმანიის ერთი ლაშქარი გარღვევს დაემუქრა იმ ჯარებს, რომელნიც იმყოფებოდნენ ტოლმინოსა და კაპორეტოს შუა, ესე იგი, გერმანელები ამ სამხრეთ დასავლეთ გზით იზონცოს ღელეს გადაჰქელავდნენ და მალე უდინესკენ დაეშვებოდნენ.

11 ოქტომბერს დაიწყეს ავსტრო-გერმანელებმა ფართო შეტევა ზემოდ დასახულ მიზნის განსახორციელებლად. როგორც ცნობილია, ამისთვის 5 ათასი ზარბაზანი დაუდგამთ სულ მოკლე მანძილზე და საუკეთესო ჯარებისთვისაც მოუყრიათ თავი, რომელნიც მეტ წილად დასუსტებულ რუსეთის ფრონტიდან გადაუყვანიათ. გერმანელთა არტილერიამ მიწასთან გაასწორა იტალიელების თხრილები და პირველ შეტევისთანავე, როგორც გაზეთები აღნიშნავენ ამ გარღვეულ ფრონტიდან წაუყვანიათ 80 ათასამდე ტყვე და აუარებელი სურსათ-სანოვაგე, 1300-მდე სხვა და სხვა ყალიბის ზარბაზნით.

როგორც სჩანს, ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილებულან გერმანელები. ცნობილია, რომ მათ შეტევა გაუფართოებიათ მთელს ჩრდილოეთის ფრონტზე კარნიიდან ტრონსინომდე. ამნაირად, გერმანელთ განზრახვა აქვთ რკინის მუხრუჭში გასწურონ მთელი ჩრდილო იტალიით, კადორნეს ლაშქრის უმთავრესი ნაწილი. რამდენად შესწვდებიან ძალ-ღონე ავსტრო გერმანელებს,—ეს საკითხი ეხლა ვერ გადაიჭრება, მაგრამ ისიც მართალია, რომ მათი ჯარები უკვე თამამად მიდიან წინ და იტალიელებს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ მათი სათანადო შეჩერება. უმთავრესი ბრძოლა ამ ჟამად სწარმოებს მდ. ტალიამენტოს ველებზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გერმანელები უტევენ ერთის მხრით კარნიის ალპებიდან, ხოლო მეორე მხრით ვენეციისა, მაშინ დავინახავთ, რომ ბრძოლის ხაზის გასასწორებლად იტალიელებმა კიდევ კარგა საკმაო მანძილი უნდა დასცალონ. მდგომარეობა მეტად რთულია. იგი რამოდენადმე რუსეთისას გვაგონებს კიდეც. თუ გერმანელებმა მიაღწიეს მიზანს, მაშინ მთელის ძალ-ღონით დაატყდებიან დასავლეთ ფრონტს, საიდანაც საშიშროების ლანდი დიდი ხანია არ ასცდენიათ გამარჯვებულებს.

ქართლელი

რუსული პრესა
ყაზახები და ბოლშევიკები

ბოლშევიკების გაზეთი „ნოვაია ჟიზნ“ სწერს: ჩვენს რევოლუციას კორნილოვის შემდეგმა ხანამ ორი რამ პროცესი ახასიათებს: ცალმხრივ პროლეტარიატის და გლეხთა შორის რევოლუციურ სულიერ მდგომარეობის განმტკიცება, და მეორე მხრივ—რეაქციულ სურვილებათა ზრდა ბურჟუაზიისა და მემამულეთა შორის.

პროლეტარიატსა და გლეხთა ნაწილს მეთაურად ბოლშევიკებს პარტია ჩაუდგა, ხოლო რუსეთის ცენზიან ელემენტებს ავანგარდში თანდათანობით ყაზახები უდგებიან.

ყაზახობა, თავის სოციალურ ბუნებით, არას დროს არ ყოფილა ნამდვილი რევოლუციური, ვინაიდან მათ შორის ბევრია წვრილი „მემამულე“. ყაზახების პოზიცია რევოლუციის პირველ დღეებშივე უფრო ნეიტრალური იყო. თებერვლის დღეებში ყაზახებს ხალხზე იარაღი არ უხმარიათ, კორნილოვის დროს კი მოღალატეს არ მიემხრნენ. ამით მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა იწურება, ამ უკანასკნელ დღეებში კი ნელ-ნელ იცვლიან როლს: პასსიურ ლოიალობას თავს ანებებენ, და მეტ აქტივობას იჩენენ პოლიტიკაში და რეაქციის ავანსცენაზე გვევლინებიან. რა თქმა უნდა ამის თქმა მთელ ყაზახობაზე არ შეიძლება, მაგრამ დღითი დღე ყაზახობის პოლიტიკური როლი მნიშვნელოვანდება და ამასთან ერთად რეაქციონური ხდება. ყველა ეს „წრეები“, „რადები“ და სხვა ამისთანები რევოლუციის სასარგებლოდ არ სდგება. დღითი დღე მრავლდება ყაზახების გაზეთები და ჟურნალები, მაგრამ მათს შორის ნამდვილი რევოლუციური ორგანო არც ერთი არ არის. „ყუბანის რესპუბლიკის“ წარმოშობა გვიმტკიცებს, რომ ყაზახობის კლასობრივი ინტერესები უკვე პოლიტიკურ მოთხოვნილებათა მწვერვალებს აღწევენ. ყაზახობა აწარმოებს „თავის პოლიტიკას“ და არა მარტო საშინაოს, არამედ საგარეოსაც.

ერთ დროს ხმებიც იყო, რომ ყაზახები საკუთარ წარმომადგენელს ჰგზავნიდენ პარიზის კონფერენციაზე. ამ დღეებში მათმა დელეგაციამ ჯერ ინგლისის ელჩი ბიუკენენი ინახულა, ახლა—კერენსკი.

რაზე ისაუბრეს ბიუკენენთან ეს არ ვიცით, მაგრამ თვით ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია. იგი საუბარი იმას დამადასტურებელია, რომ რუსის ყაზახობას და ინგლისის იმპერიალისტებს რაღაც საერთო პოლიტიკური ინტერესები აქვთ.

კერენსკისთან ხომ ყაზახების დელეგაცია მეტად თავისუფლად ჰგრძნობდა თავს. დელეგაციამ არამც თუ უარი განუცხადეს კალედინის სასამართლოში მიცემაზე, არამედ მოსთხოვეს კერენსკის, რომ მას საგანგებო აქტი გამოეცა, რომლითაც კალედინი დონის ჯარის უფროსად დაინიშნებოდა. მათ კატეგორიულად აუკრძალეს მთავრობას, რომ „ყაზახთა ჯარის საბჭოს“ გარდა კავშირი არ ჰქონოდა ყაზახთა სხვა ორგანიზაციებთან.

ყაზახებმა ნიშნი მიუგეს, რომ მთავრობას საბჭოებთან აქვს კავშირი და განუცხადეს, რომ თუ ეს კავშირი გაგრძელდება, თქვენდამი ნდობას დავკარგავთო. ეს კიდევ ცოტა, მათმა პოლიტიკურმა სიბეცემ იქამდე მიაღწია, რომ იმუქრებოდნენ, ულალატებთ არამცთუ მარტო რევოლუციას, არამედ სამშობლოსაცო.

რევოლუციის ტალღნობზე ძლიერი, შავი ძალა ჩნდება. იგი დღითი დღე იზრდება და ემუქრის რევოლუციას.

ომი და ზავი

დეპეშები
აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ღვინ. 25. ოფიციალი. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლაა.

კავკასიის ფრონტი. არსებითი არა არის რა.

ბალტიის ზღვა—უცვლელადაა.

დასავლეთის ფრონტი

საფრანგეთის ბანაკის ცნობა

პარიზი. ღვინ. 23. ოფიციალი. კორბენის რაიონში გაცხარებული სროლაა. ბეზანვოს ჩრდილო-დასავლეთით, ვოგეზებში ფრაილლეს მიმართულებით და სენ-დიეს აღმოსავლეთით მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. ღვინ. 23. ოფიციალი. პელკაპელს აღმოსავლეთით ჩვენ წუხელის წინ წავიწიეთ. ბესსელარის დასავლეთით მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. რუელ-იპრის ჩრდილოეთით გერმანელებს იერიში მოვკლეთ.

იტალიის ფრონტის გარღვევა

ბანაკის ცნობა

რომი. ღვინობისთვის 23. ოფიციალი. მტერი ტალიამენტოს მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა და მარცხენა ფრთას უტევს.

რომი. ღვინ. 24. ოფიციალი. გერმანელებმა არამც თუ გაამძლიერეს მოქმედება ზემო ტალიამენტოში, არამედ ჯარი ტალიამენტოს დაუყოლეს და მის ქვემო ნაწილისკენ მოჰყავთ. ტალიამენტოს სამხრეთ აღმოსავლეთით მტრის ზოგიერთა მოწინავენი გრენადერების ბრიგადებს მოუახლოვდნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. ახლ მოსაგერიებელ ხაზისათვის მთიანი ალაგი დავცალეთ. ალაგი მტერმა დაიპყრა.

სერბეთი და იტალია

კორფუ. ღვინ. 20. (დაგვიანებულია). იტალიის ახალმა მინისტრმა ორლანდომ და სერბეთის მინისტრთავმჯდომარე პაშიჩმა მომხდარ ამბების გამო დეპეშებით იქონიეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. აღნიშნავენ ორივე ერის კავშირს და შეურყეველ იმედს გამოსთქვამენ მტერზე გამარჯვებისას.

ბოლშევიკების აჯანყება

რესპუბლიკის საბჭოს ღვინობისთვის 24-ის სხდომა.

სხდომის წესრიგი

სხდომას თავმჯდომარეობს ავქსენტიევი, რომელმაც საბჭოს მოახსენა მიღებული საქმეები, მათ შორის 3 შეკითხვა: 1) ეროვნულ საქმეების საბჭოს პროექტის შემუშავებისა და საბჭოში შეტანის შესახებ; 2) კლუბის საბჭოს წინააღმდეგ ყაზახების ძალადობის შესახებ; 3) საქართველო სამრეწველობში გაფიცვის და გამფიცავ კომიტეტის მიერ ქარხნების ხელში ჩაგდების გამო. საბჭოს მოხსენდა აგრედვე, რომ თავმჯდომარეს მიუღია საკანონმდებლო წინადადება სახალხო მეურნეობის, შრომისა და ჯარისა და მცხოვრებლების საჭირო საგნების მომწოდნელ ორგანოების შესახებ. წინადადება დასასკვნელად კომისიას გადაეცა სამი დღის ვადით. გრუზინოვმა განაცხადება შეიტანა, რომ ის განთავისუფლონ საბჭოს წევრის მოვალეობისაგან. ლაპარაკობს მინისტრ პრეზიდენტი კერენსკი.

კერენსკის სიტყვა

მინისტრ პრეზიდენტი დროებითი მთავრობის დავალებით შემდეგს აცხადებს:

დამფუძნებელ კრების ჩაშლის ცდა

ბოლო დროს, რაც უფრო ახლოვდება დამფუძნებელ კრების მოწვევა, იმდენი მეტის დაჟინებით, თავხედობით და ურცხვობით სცდილობენ რუსეთის საზოგადოებრიობის ორივე ფლანგით მისპონ საშუალება დამფუძნებელ კრების მოწვევისა, ამავე დროს ყოველ მხრივ სცდილობენ შეასუსტონ სახელმწიფოს თავდაცვა და ჩვენ სატახტო ქალაქისკენ მომავალ მტერს გზა გაუხსნან. დროებითი მთავრობა იცავს რევოლუციის მიერ მოქალაქეთათვის მინიჭებულს თავისუფლებათა პრინციპს და ამიტომ ზომებს არ იღებს პრესაში თუ მიტინგებზე უხეშ გამოსვლების წინააღმდეგ. ბოლო დროს მთელ რუსეთს მოუსვენრობა მოედო დემოკრატიის ერთს, უპასუხისმგებლო და გონიერებას მოკლებულ ნაწილს. ამავე დროს პრესის მეორე ნაწილიც ეწეოდა პროპაგანდას და მოითხოვდა დროებით მთავრობის მაგივრად დიქტატურის (მარჯვენიდან იძახიან: „მტკიცე ძალა-უფლებით“) დაწესებას. ეს იბეჭდებოდა „ნოვაია რუს“-ში, „ჟივოე სლოვო“-ში და „ობშჩეე დელო“-ში.

აჯანყების აგიტაცია

მეორე მხრივ აჯანყების მოწოდება იბეჭდებოდა „რაბოჩი პუტ“-ში და „სოლდატ“-ში. ერთი და იმავე დროს უკვე შეუდგნენ აჯანყების მოწყობას. სახელმწიფო დამნაშავემ ლენინ-ულიანოვმა „რაბოჩი პუტ“-ში მოწოდება მოათავსა ამ სათაურით: „წერილები ამხანაგებს“, რომლის ავტორიც მოუწოდებდა „ამხანაგებს“ განმეორებინათ ივლისის 3—5 დღეების ამბები და დაუყოვნებლივ შეიარაღებულიყვნენ. პროკლამაციის ბოლოში ლენინი „ამხანაგებს“ ეკითხება: „მაშ რაღას ელით? სასწაულს? განა მოუცდით დამფუძნებელ კრებას? დამშეულო ბალღებო! კერენსკი დამფუძნებელ კრების მოწვევას დაგპირდათ!“

მეორე მოწოდებაში ლენინი პირდაპირ მოითხოვს აჯანყების მოხდენას და დაგვიანება სიკვდილს ჰგვანებისო. ამას გარდა მიტინგებზე და კრებებზე ბრონშტეინი—ტროცკი და ბოლშევიკთა სხვა ბელადები აგრეთვე მოუწოდებდნენ ხალხს შეიარაღებულ აჯანყებისაკენ. მე არ მოვიყვან მეორე ბანაკის გაზეთების წერილებს. წერილის ჩემი განკარგულებით,—უნდა აღვნიშნო, რომ ორივე ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმართულების გამოსვლებს შორის კავშირი არსებობს. „რაბოჩი პუტ“-ის და „სოლდატ“-ის ბევრი წერილების სტილი და ენა ისეთივეა, როგორც წინააღმდეგი მიმართულების „ნოვაია რუს“-ისა.

საიდუმლო ორგანიზაცია

დღევანდელი ამბები ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიების გამოსვლა კი არ არის, არამედ არსებობს რომელიღაც საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც სცდილობს გამოიყენოს დღევანდელი აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა, მოახდინოს ამბოხება პეტროგრადში, რაც წარმოუდგენელ უბედურებას დაატეხს რუსეთს.

ლენინის სახელმწიფო ღალატი

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა, ლენინის წერილის ერთი ადგილი (კერენსკი კითხულობს): „გერმანეთში მხოლოდ ერთი ლიბკნეხტია, მისი მიმართულების გაზეთები არ გამოდის, არ არის სიტყვის თავისუფლება და არც საბჭოები, ყველა წრეები თვით გლეხობაც კი მის წინააღმდეგ სდგას, იმპერიალისტური ბურჟუაზია მეტად რიგად დარაზმულია, მაგრამ გერმანელი ინტერნაციონალისტები მაინც ახერხებენ აგიტაციას. ჩვენ კი ისეთ პირობებში ვართ, როგორი პირობებშიაც არც ერთი ქვეყნის პროლეტარიატი არ იმყოფება და ნუ თუ ჩვენ გერმანელ ინტერნაციონალისტებს არ დავეხმარებით აჯანყებით?! მაგრამ გერმანეთის ინტერნაციონალურ პროლეტარიატს კი არა ლენინელები გერმანეთის მმართველ წრეებს ეხმარებიან. ასეთ საქციელს ამ კათედრიდან ვუწოდებ სახელმწიფო ღალატს, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ცხოვრების აღრევას მაშინ სცდილობენ, როდესაც ჩვენ უკვე შევუდექით მიწების სათემო-მამულო კომიტეტების ხელში გადაცემას და ვაპირებდით პარიზის კონფერენციაზე გაგვეგზავნა დელეგაცია, რომელიც მოსთხოვდა მოკავშირეებს გამოეაშკარავებინათ ომის მიზნები და ზომები მიეღოთ ზავის დასაჩქარებლად. (ტაში მარც. და ცენტრში). ბოლშევიკები ამბოხებას მაშინ იწყებენ, როცა მხოლოდ სამი კვირა ღაა დარჩენილი დამფუძნებელ კრების მოწვევამდი, რომელსაც, როგორც ხალხის ნების ყოფის ერთად ერთ სუვერენულ ორგანოს შეუძლია ცხოვრების მოწყობა. აქედან აშკარაა, რომ ეხლა აჯანყების მოწყობა ჰნიშნავს ხალხის და რუსეთის თავისუფლების მტრობას. მაგრამ დროებითმა მთავრობამ ზომები არ მიიღო სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, რათა თვით კომიტეტმა შეიგნოს თავისი შეცდომა და უძლურება, ჩვენ მართალნი გამოვდექით დღე-ღამის განმავლობაში სამხედრო სარევოლუციო კომიტეტის განკარგულებებს არავითარი რეალი შედეგები არ ჰქონია. წუხელ კი ღამის 3 საათზე სამხედრო მთავრობის მიერ წარდგენილი საულტიმატუმო მოთხოვნილებები პრინციპიალურად ყველა მიიღეს. ამით მათ სცნეს თავისი შეცდომა (მილიუკოვი ადგილიდან: „საუცხოოა!“) რევოლუციონურ შტაბს დასახმარებლად 2 როტა გამოეწვია და იარაღი დაერიგებინა. ამნაირად სატახტო ქალაქის ერთი ნაწილი ამბოხებისთვისაა გამზადებული. მე განკარგულება გავეცი გამოძიება დაიწყონ და მეამბოხენი დაატუსაღონ. (უკიდურეს მემარცხენეთა შორის ხმაურობაა). გამიგონეთ, რადგანაც დღეს სახელმწიფო იღუპება და დროებითი მთავრობას და, განსაკუთრებით მე, გვეჩქარება მოგვკლან, გაგვანადგურონ, მაგრამ სახელმწიფოს ღირსებას და დამოუკიდებლობას კი არ გავყიდით (უკიდურეს მემარცხენეთა გარდა ყველა ფეხზე დგება. ხანგრძლივი ტაში. აჯამოვი ყვირის: „ფოტოგრაფი მოიტათ, რომ ყველამ ნახოს ეს სურათი. მარცხნივ ხმაურობაა). დროებითი მთავრობა შეუძლიანი მხოლოდ ერთ რამისთვის გაჰკიცხონ, (მარტოვი ადგილიდან: „უაზრობისთვის“. თავმჯდომარე მარტოვს შენიშვნას აძლევს): სისუსტისათვის, ხანგრძლივი მოთმენლობისთვის, მაგრამ იმას კი ვერ იტყვიან, რომ დროებითმა მთავრობამ ნაადრევად მიიღო ზომები, ვიდრე სახელმწიფოს პირდაპირი საფრთხე არ მოევლინა. (ტაში). ფრონტის ჯარიდან აუარებელი დეპეშები მოსდის მთავრობას, რომ ჯარი მხარს დაუჭერს მას მეამბოხეებთან ბრძოლაში, ფრონტის ჯარი მოუწოდებს მცხოვრებთ სიწყნარე დაიცვან. ეს არის ეხლა ჩამივარდა ხელში ის დოკუმენტი, რომელიც სამხედრო ნაწილებში დაგზავნეს: „პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს საფრთხე მოელის. განკარგულებას გაძლევთ ბრძოლისათვის მოამზადოთ პოლკი და შემდეგ განკარგულებას უცადეთ. დაგვიანება და ურჩობა რევოლუციისადმი ღალატად ჩაითვლება. თავმჯდომარის მაგივრად პოდვოისკი, მდივანი ანტონოვი“ (მარჯვნიდან იძახიან: „მოღალატენი“!). ივლისის 3—5 ამბებს კალუშისა და ტარნოპოლის დღეები მოჰყვა. უბედურების შემქნელთა ძებნა არ დაგვჭირდა, ისინი აქ არიან. დღეს ყველა ან რესპუბლიკას, თავისუფალ დემოკრატიას უნდა გაჰყვეს, ან მის წინააღმდეგ უნდა წავიდეს (უკიდურეს მემარცხენეთა გარდა ტაში ყველა სკამებზე). აქ იმ რწმენით მოვედი, რომ მთელს საბჭოში დროებითი მთავრობა სრულ ნდობას ჰპოვებს. მთავრობა დღემდე იცავდა თავისუფლებათა პრინციპებს, მაგრამ დღეს საჭიროა საბოლოოდ გავაქროთ ის ჯგუფები, რომლებმაც გაბედეს ხელი აღემართათ სახელმწიფოს წინააღმდეგ. მე მოვითხოვ, რომ საბჭომ მიპასუხოს შეუძლიან თუ არა დროებით მთავრობას თავისი მოვალეობის შესრულება ამ უმაღლესი ყრილობის დასტურით. (უკიდურეს მემარცხენეთა გარდა მთელი საბჭო ზეზე დგება და ტაშს უკრავენ კერენსკის. იმართება ოვაციები).

სხდომის განახლების შემდეგ პეშეხონოვის თავმჯდომარეობით კერენსკის სიტყვის გამო ბაასი შეუდგა. ლაპარაკობენ: მემარცხენე სოციალისტ რევოლუციონერი კამკოვი (კაცი), რომელსაც პასუხს აძლევს შრომის მინისტრი გვოზდევი, მენშევიკი გურვიჩი (დანი) და მენშევიკ ინტერნაციონალისტი ცედერბაუმი (მარტოვი).

სხდომამ მიიღო მემარცხენეთა მიერ წამოყენებული ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასასვლელად.

—

დამოკიდებულება საბჭოებსა და ჯარის შორის.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 24. სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა თავის წევრების განუწყვეტელი მორიგეობა დააწესა. სარაიონო საბჭოებისა და სამხედრო ნაწილების შორის რომ მჭიდრო კავშირი იყოს სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტში პოლკის თითო წარმომადგენელია.

განხეთქილება საბჭოსა და შტაბს შორის.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 24. „დეპუტატთა საბჭოების უწყებანი“ და „ჯარის კაცის ხმა“ სწერენ: ღვინობისთვის 21 პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ მეციხოვნე ჯარის ხელმძღვანელად სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი სცნო. იმავე ღამეს ამ კომიტეტის წევრები მოვიდნენ შტაბში და მოითხოვეს, რომ შტაბის განკარ-

ეროვნული

გულებანი მათ კანტროლისთვის დაემქვემდებარებინათ. პეტროგრადის მთავარსარდალმა პოლკოვნიკოვმა მტკიცე უარი უთხრა მათ. პეტროგრადის საბჭომ საგანგებოდ მოიწვია პოლკების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც ჯარის ტელეფონოგრამები დაგზავნა, რომლებმა სამხედრო სარევოლუციო კომიტეტი არ სცნო და ამით დამოკიდებულება შესწყვიტა რევოლუციონურ მეციხოვნე ჯართა და დეპუტატთა საბჭოებთან. ცნობა მოვიდა, რომ დეპუტატთა საბჭოს მიერ მეციხოვნე ჯარის ნაწილებში საგანგებოდ დანიშნული კომისრები თავის კონტროლის ქვეშ ატარებენ შტაბის განკარგულებებს.

მენშევიკების გამოსვლა.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 24. დეპუტატთა საბჭოს მენშევიკების ფრაქცია „ჯარის კაცის ხმა“-ში აცხადებს, რომ ფრაქციულ კრებაზე მენშევიკებმა განიმეორეს თავისი დადგენილება, რომლითაც უარს ამბობენ სამხედრო სარევოლუციო კომიტეტში შესვლაზე.

კომისარ დალსკის მოწოდება.

პეტროგრადი. ღვინ. 24. პეტროგრადის ოლქის კომისარი, ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დანიშნული დალსკი „ჯარისკაცის ხმა“-ში მოუწოდებს ჯარს სრული სიწყნარე დაიცვან. მოწოდებაში ნათქვამია: „არ დავღუპოთ ქვეყანა, გვახსოვდეს, რომ 20 დღის შემდეგ და ფრონტზე უფრო ადრე დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება.

მთავარ ბანაკის დაპყრობის განზრახვა.

მთავარი ბანაკი. ღვინობ. 23. საერთო საარმიო კომიტეტის თავმჯდომარე პოლკოვნიკი პოლიანსკი უარყოფს „რუსკოე სლოვო“-ში და „ნოვოე ვრემია“-ში მოთავსებულ ცნობებს, ვითომც ბოლშევიკებს გადაეწყვეტნოთ მთავარი ბანაკის დაპყრობა და ვითომ უკანასკნელს უკვე ღონისძიება მიეღოს.

კავკასიის ლაშქრის საოლქო საბჭო.

თბილისი. ღვინობისთვის 26. კავკასიის ლაშქრის საოლქო საბჭო ცირკულიარ დეპეშით, რომელიც კავკასიის ლაშქარს და დროებით მთავრობას გაუგზავნა, სასტიკად ჰკიცხავს ბოლშევიკების გამოსვლას და ლაშქარს მშვიდობიანობისკენ მოუწოდებს.

ტელეგრაფი სარევოლუციო კომიტეტის ხელში.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 25. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ მომხდარ ამბებზე ცნობებს ვერ მოგაწვდითო. სააგენტო სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტს და შეიარაღებულ ძალას ჩაუგდია ხელში.

სამხედრო - სარევოლუციო კომიტეტის მოწოდება.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 24. სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა შემდეგის მოწოდებით მიმართა პეტროგრადის მცხოვრებლებს: „მოქალაქენო, კონტრ-რევოლუციამ წამოჰყო თავი. კორნილოვის მომხრენი რაზმავენ ძალებს, რომ სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობას ხელი შეუშალონ და დამფუძნებელი კრება ჩაშალონ. ამავე დროს მოქალაქეთა დარბევის მომწყობნი შეეცდებიან პეტროგრადის ქუჩებში ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიონ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო თვითონ დაიცავს რევოლუციურ წესს კონტრ-რევოლუციურ და დამრბევ გამოსვლებისაგან.

პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით.

(ღვინობისთვის 25. 3 საათი და 30 წუთი).

ახლა ცენტრალ კომიტეტის სხდომაა. სხდომას ესწრებიან ფრონტიდან ჩამოსული დელეგატები, უმეტესად ბოლშევიკები.

—

ტროცკიმ განაცხადა: იმედი მაქვს საქმეს უსისხლოდ გავათავებთ, რადგან ძალა ჩვენს ხელშია.

—

ბოლშევიკებმა აქტიური მოქმედება იწყეს. დაიჭირეს ნიკოლაევის სადგური და ჯავშნიანი ავტომობილები ჩაამწკრივეს.

—

პავლოვის პოლკი საზამთრო სასახლის მახლობლად აჩერებს ყველას, იჭერს და სმოლნის ინსტიტუტისკენ მიჰყავს.

—

შეიპყრეს მინისტრი კარტაშევი და დროებით მთავრობის საქმეთა გამგე ჰალპერინი.

—

ბალტიის სადგური ბოლშევიკების ხელშია.

—

თუ ფრონტის ჯარი არ მოიშველიება მთავრობა მათ საკუთარ ჯარით ვერ გაუმკლავდება.

თბილისში მოსული ცნობები.

მარინის სასახლესთან მთავრობის ჯარმა ბოლშევიკების ჯარი უკუ აქცია.

—

მთავარ ბანაკიდან პეტროგრადისაკენ კერენსკის თავის ერთგული ჯარი მიჰყავს.

—

პეტროგრადში გამარჯვება ბოლშევიკების მხარეზე იხრება. მათ დაიპყრეს ყველა დაწესებულებანი. მთავრობასთან ურთიერთობა მთავარ ბანაკის საშუალებით სწარმოებს.

—

ზოგიერთი ცნობების მიხედვით საქმე მორიგებით გათავდება. მოსალოდნელია რეკონსტრუქცია მთავრობაში.

—

კარტაშევი გაუნთავისუფლებიათ.

—

კერენსკი მე-12 არმიაში იმყოფება.

—

კავკასიის სამხედრო ოლქის კომისარმა ვლადიმერ გობეჩიამ რუსეთის ყველა დეპუტატთა საბჭოებს დაუგზავნა საგანგებო დეპეშები, რომლებშიაც კომისარი მოუწოდებს აფიცრებს და ჯარისკაცებს, პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში გამოვიდნენ რევოლუციის დასაცავად.

ასეთივე დეპეშა მოვიდა პეტროგრადიდან მინისტრ თავმჯდომარის მოადგილის ა. კონოვალოვისაგან.

რესპუბლიკის საბჭო

ტერეშჩენკოს სიტყვა

საგარეო მინისტრის კათედრაზე ასვლისას მარცხნიდან გაისმის: „დაითხოვეთ, დაითხოვეთ!“

მინისტრთა ლოჟაში ადგილს იჭერს პრემიერ მინისტრი კერენსკი.

ტერეშჩენკო ამბობს პასუხს არ გავცემ იმათ, ვინც კამათის დროს ამტკიცებდა, ვითომც საგარეო საქმეთა სამინისტრო დამცველი პოლიციის ფუნქციებს ასრულებდა ვითომ. პასუხს არ გავცემ იმიტომ, რომ თვით იმისი მთქმელები იყვნენ ნათქვამის სიცრუეში დარწმუნებულნი. გარტვიგ-ლანდეზენი არამც თუ საგარეო სამინისტროში, არამედ არსად არა მსახურობს. პაციფისტ-ემიგრანტებისათვის რუსეთში შემოსვლის აკრძალვის შესახებ მინისტრი ამბობს: რუსეთში ემიგრანტების შემოშვების საკითხი სავსებით საემიგრანტო კომიტეტების ხელშია. თუ რამე დაბრკოლება მოხდა ემიგრანტების დაბრუნებაში, ეს იმიტომ, რომ საერთოდ უცხოეთიდან მომავალ გემთა რიცხვი ერთობ შემცირდა და ამასთანავე აფარებული ტვირთის გადმოზიდვა აქვს დაკისრებული ამ გემებს. ემიგრანტთა შესანახად უცხოეთში რევოლუციის დაწყებიდან გაიგზავნა 5 მილიონი მანეთი და საგანგებოდ გაიგზავნა სოციალისტ-რევოლუციონერი, ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი რუბანოვიჩი. ჩემის თაოსნობით დროებითმა მთავრობამ დაადგინა: მხოლოდ გერმანეთის მიწა-წყალზე მომავალი ემიგრანტები არ გამოუშვან და ამას მე არ ვმალავ (მარჯვნივ ტაში, მარცხნივ იძახიან: „ერთობ გვიანაა!“) რაც შეეხება იმ ბრალდებას რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა არ იყო გაბედული და პირდაპირი, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა სავსებით დამოკიდებული იყო სახელმწიფოს შინაგან ცხოვრებაზე და სწორედ უკანასკნელში ჰქონდა ადგილი დიდ ზიგზაგებს და ცვლილებებს! მაშინ, როდესაც ჩვენ მტკიცედ ვიდექით რევოლუციის დასაწყისში დაპყრობილ პოზიციაზე სხვა ორგანიზაციებმა დასთმეს თავისი პოზიციები. ივლისის 3—5-ის გამოსვლების და ჩვენი დამარცხების წინ ზავის ჩამოგდება ადვილი იყო. სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესების პოზიციას არ დავთმობთ. უაზრობა იქნება ვიფიქროთ, რომ ჩვენ მოკავშირეებს არ უნდოდეთ ზავი, მხოლოდ ჩვენი შეხედულება ზავზე უნდა შევათანხმოთ მათ შეხედულებას. დაპყრობითი პოლიტიკა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა უნდა უარჰყონ. ჯარის აღსადგენად საჭიროა 2 პირობა: ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ, რომ არ არის ღვთის ანაბარად მიგდებული ის ჯარი, რომელიც ყველას სძაგს. საჭიროა აგრეთვე ყველა მას, ვინც საზღვარ გარედ წავა, სულ ერთია, საგარეო მინისტრი იქნება ის თუ მხოლოდ დემოკრატიის წარმომადგენელი, ერთი მიზანი ჰქონდეს და ერთი მთლიანი მისწრაფება გამოჰხატოს (ტაში) ჩვენ, მთავრობის წარმომადგენლებს არ გვინდა იმით ვიმართლოთ თავი, რასაც გერმანელები მუდამ დღე სწერენ თავის გაზეთებში რუსეთის შესახებ: „რევოლუციამ რუსეთი დამარცხებამდე მიიყვანაო“.

მინისტრ ტერეშჩენკოს სიტყვის შემდეგ საგარეო პოლიტიკის შესახებ კამათი შეწყდა. საბჭომ ითათბირა იმის შესახებ, რომ დროებითმა მთავრობამ აქამდის არ აცნობა მოკავშირე სახელმწიფოებს რუსეთში რესპუბლიკურ მართვა-გამგეობის დამყარება. ამ საკითხზე გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ ახსნა-განმარტების შემდეგ, საბჭოს უმრავლესობამ მიიღო უბრალო გადასვლა მორიგ საქმეებზე. საგარეო საქმეთა მინისტრის ახსნა-განმარტებას მინისტრ თავმჯდომარე კერენსკიც დაესწრო. საბჭო შეუდგა იმ საკითხის განხილვას, თუ რამდენად საჩქაროა იუსტიციის და მიწათმოქმედების მინისტრებისადმი მიმართვა სადგილ-მამულო კომიტეტების ზოგიერთი მოღვაწის სასამართლოში მიცემის გამო. საკითხს საჩქაროდ სცნობს სოციალისტ-რევოლუციონერი კარელინი; წინააღმდეგია კადეტი აჯემოვი. ხმის მიცემის დროს ქვორუმი სრულად არ აღმოჩნდა. მარტოვის პირად შეკითხვის გამო ახსნა-განმარტებით სხდომა სადამოს 7 საათზე და 5 წუთზე დაიხურა.

ქრონიკა

თბილისი

◆ **წერეთელი საოლქო ცენტრში.** საოლქო ცენტრში საწრაფო სხდომა მოხდა. სხდომაზე წერეთელმა სიტყვა წარმოსთქვა და მოითხოვა, რომ იარაღით შეებრძოლონ ბოლშევიკების ამბოხებას.

◆ **სტუდენტთა ყრილობა.** ხარკოვში, საშობაოდ სრულიად რუსეთის სტუდენტთა ყრილობას იწვევენ.

◆ **თბილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** თავისუფალია რუსულისა და უცხოეთის ლიტერატურის გაკვეთილები (21 გაკვეთ.). უცხოეთის ლიტერატურა ისწავლება ქართულად. თხოვნები მიიღება 31 ოქტომბრამდე, პედაგოგიურ საბჭოს სახელზე. (თბილისი ანდრიას ქუჩა № 42).

◆ **სურსათი.** ღვინობისთვის 26-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო ფქვილი 4 ვაგონი და ხორბალი 2 ვაგონი. 1 ვაგონი გადაიდო სათესლედ, ხოლო მეორე ვაგონი მიეცათ კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთ.

◆ **პოლონელთა დივიზია.** გადაწყვეტილია მოეწყოს თბილისში პოლონელ მხედართა დივიზიონი; 3 როტა ამ დივიზიონისა ამ დღეებში მოვა თბილისში, რომელთაც ქართულ პოლკს შეუერთებენ.

◆ **საჩუსტე ანუ საწუღე** საქონლის შესაძენად ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებმა უნდა მიჰმართონ ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობას, რომელიც ბითუმობით წაიღებს თბილისიდან საქონელს. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ თბილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობა აღნიშნულ საქონელს არ მიჰყიდის.

◆ **სასადილოს დაბეჭდვა.** მე-10 უბნის კომისარმა ბ-ნმა კანდელაკმა დიდძალი ღვინო და მაგარი სასმელები აღმოაჩინა მიხეილის პროსპექტზე, ვინმე თარხნიანცის სასადილოში, სასადილო დაბეჭდეს.

◆ **სასულიერო კონცერტი.** ღვინობისთვის 29-ს რომის კათოლიკეთა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში სასულიერო კონცერტი გაიმართება გადმოხვეწილ ლიტველთა სასარგებლოდ.

◆ **პურის ახალი წიგნაკების** დარიგება დღეიდან დაიწყება საუბნო სასურსათო კომიტეტებში.

◆ **ქვაშვეთის ეკლესიის მრევლის კრება.** კვირას, ღვინობისთვის 22 ს, ქვაშვეთის ეკლესიაში მოხდა სამრევლო კრება და არჩეულ იქმნენ: მოლარედ (მნათედ) პ. პ. კვირიკაშვილი; საბჭოს წევრებად: გ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, გ. ი. ამილახვარი, ნ. დ. მაკარაშვილისა, გ. პ. არჯევანიძე, ა. თ. არდაზიანისა, ი. მ. ლორთქიფანიძე, რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე, ა. ი. თიკანაძისა, ნ. ი. არჯევანიძე, ნ. ფ. კარაზანოვი, ა. ი. თულაშვილი და გ. პ. მაჩრაძე; მათ კანდიდატებად: ა. ი. კლდიაშვილი, ა. ი. ყანჩელი, ი. ღვთისავრიშვილი და გ. დ. ქურული. ეპარქიის კრებისათვის დეპუტატთა ასარჩევად წარმომადგენლად სამრევლოსია: დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ნ. ი. არჯევანიძე, ნ. ი. კარაზანოვი და გ. ი. ორბელიანი. ამის შემდეგ სამრევლომ მოიწონა კრებულის წევრთა დეკ. კ. ცინცაძის, მღ. ე. ფხალაძის და დიაკ. ნ. ყუფარლის განცხადება თავიანთ ადგილებიდან გადადგომის შესახებ და წინადადება ხელახლავ მოეწვია სამრევლო კრება ახლად არჩეულ საბჭოს და აერჩიათ კრებულის წევრნი. მცირე თათბირის შემდეგ—იმის შესახებ გადაიდოს კრებულის წევრთა არჩევანი შემდეგისათვის, თუ ახლავე მოხდეს არჩევანი, კრებამ ერთხმად აირჩია თავიანთ ადგილზედ დეკ. კ. ცინცაძე, მღ. ერ. ფხალაძე და დ. ნ. ყანდარელი, ხოლო მღ. დ. ლაზარიშვილი, როგორც უკვე არჩეულს მრევლის მიერ 1907 წელში, ნდობა გამოეცხადა.

—

კორექტურული შეცდომა. გერონტი ქიქოძის გუშინდელ წერილში სწერია: მეორე ჰაობად,—უნდა იყოს: მდორე ჰაობად.

დ. კასრაძის წერილში, მეექვსე თავის ბოლოში სწერია: ახლა საუკუნეთა ქალაქის სახელის ნაცვლად გაისმოდა სუდანისა და პარიზის სახელები,—უნდა იყოს „სედანისა და პარიზის“.

კათალიკოზის საბჭოს საყურადღებოდ

17 სეკტემბრის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზედ როდესაც გადასწყდა, რომ წიგნის მკითხველს (მედავითნეს) მიეცეს ორი მეხუთედი ყველა შემოსავლიდგან, მაგრამ დღევანდლამდის ზოგიერთი საოლქო საბჭოს თავმჯდომარე თავის რწმუნებულ მღვდლებით არ ასრულებენ ამ დადგენილებას. მაგალითად: სიღნაღის მაზრის მე-3 ოლქის თავმჯდომარე მღვდელი ახალშენიშვილი იძლევა ასეთს განმარტებას, ჯერ ოფიციალურად არ მოსულა ამის შესახებ მოწერილობა და მედავითნენიც უნდა დაკმაყოფილდნენ ძველის შემოსავლით, ე. ი. ერთი მეოთხედითო. შეიძლება ამისთანა ოფიციალი თავმჯდომარე სხვებიც გამოიძებნებოდნენ. კარგი იქნება გააგებინოს საკათალიკოსო საბჭომ, ვის რა ეკუთვნის შემოსავლიდგან, რომ უდიერს ჩაგვრას მღვდლებისაგან მოეღოს ბოლო.

მედავითნე ზ. ზირაქაშვილი.

მილოცვა პატრიარქ-კათალიკოზს

ჩვენ, კავკასიის ფრონტზე მყოფ ქართველებს, სიხარულით აგვავსო გული, როდესაც გავიგეთ სრულიად საქართველოს პატრიარქის არჩევა. ვულოცავთ ძვირფასს საქართველოს, ქართველ ერსა და საყვარელ კათალიკოზს კირიონს ამ ეროვნულ დღესასწაულს. ვწუხვართ, რომ ამ ბედნიერებას თვით სამშობლოშივე არ განვიცდით.

შევთხოვთ მის უწმინდესობას სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს, შეავედროს ღმერთს ღვთის მშობლის წილხვდომილი ივერია და ოდესღაც ერთ სულ და ერთ ხორც და დღეს კი დაკნინებული ქართველი ერი, რათა მას თვალები აეხილოდეს, პარტიობა დაევიწყებინოს და განთავისუფლებინოს „მუხა მუშლისაგან“.

დანალუს ქართული წრის თავმჯდომარე **არჩილ შათირიშვილი.**

მდივანი **აკაკი ლიქვეიშვილი.**

ამიერ კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის დადგენილებანი

რეზოლუცია მრეწველობა-ფინანსების შესახებ

ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა ნათლად ჰგრძნობს, რომ მომავალ ფინანსიურ კატასტროფას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კრიზისი მოჰყვება, დაჰღუპავს რევოლუციით მონაპოვებ თავისუფლებას და ძველს წესწყობილებას დაგვიბრუნებს.

ვაჭარ-მრეწველთა კლასმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს შერყეულ ფინანსიურ მდგომარეობას.

ყოველ მხრივ ფინანსიური კეთილდღეობა დამყარებულია მის ეკონომიურ კეთილდღეობაზე, ვაჭრობა-მრეწველობაში გამეფებული ანარქია, რომელიც გამოწვეულია როგორც რუსეთის საერთო ანარქიით, ისე კერძოდ სასურსათო და რკინის გზის საქმეთა აწეწვის გამო, მუშების მოთხოვნილებებით და კერძო ორგანიზაციების თავისუფლად გამოსვლით, ამსხვრევს ვაჭრობა-მრეწველობის აპარატებს და რუსეთს სიღარიბისა და სირცხვილისაკენ მიაქანებს. ვაჭარ-მრეწველთა კლასი მოითხოვს, მტკიცე მთავრობის გამოჩენას, როგორც ცენტრში—ისე ადგილობრივ, რომ შესაძლო შეიქმნეს ანარქიის ჩაქრობა. იგი მოითხოვს, რომ თვისი წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას სასურსათო და სხვა ეკონომიურ საკითხების მოწყობაში და საკანონმდებლო მუშაობაში.

ვაჭარ-მრეწველთა კლასი მოუწოდებს რა მშრომელ კლასს მშვიდობიან მუშაობისაკენ, — თავის მოქმედების პრინციპად საკუთარ ინტერესების მსხვერპლად შეწირვას და შეზღუდვას ისახავს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების წინაშე.

ვაჭარ-მრეწველთა ყრილობას დიდად საჭიროდ მიაჩნია, რომ საოლქო მთავრობამ უკიდურეს ზომებს მიმართოს კერძო პირთა და ორგანიზაციების ძარცვა-გლეჯის და ბოხრების წინააღმდეგ, სულ ჰღუპავს ვაჭარ-მრეწველობას და ამიერ კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა კლასს შიშქვეშ ამყოფებს. ვაჭარ-მრეწველთა კლასს აუცილებლად მიაჩნია, რომ სასურსათო საქმეში მთელი უფლება-მოსილება ოლქის სასურსათო კომიტეტის ხელში გადავიდეს. ვაჭარ-მრეწველთა კლასი მოითხოვს, რომ საოლქო კომიტეტში ვაჭარ-მრეწველთა კლასს, მის ცოდნა-დაკვირვების მიხედვით, ფართო ასპარეზი ჰქონდეს დათმობილი სამონაწილოდ, რომ ხსენებულ კომიტეტში იგი მონაწილეობას იღებდეს ამიერ კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის სახელით. კერძოდ კი ვაჭარ-მრეწველთა კლასს უნდა დაეთმოს ფართო ასპარეზი სამონაწილოდ იმ ორგანოებში, რომელთაც სათბობ მასალით უზრუნველყოფა ეკითხებათ. ფაბრიკა-ქარხნების და ვაჭრობის წესიერ მსვლელობისათვის საჭიროა ენერგიული ზომები სწორე ტრანსპორტის აღსადგენად, ვინაიდან იგია ყოველივე მხრის მთავარი ნერვი ცხოვრებისა. ყრილობა პროტესტს აცხადებს საქონლის სისტემატიურ რეკვიზიციის შესახებ. ყრილობა აღნიშნავს, რომ საქონლის აღწერამ ვაჭრობას ხელი არ უნდა შეუშალოს, იგი რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს და აღწერაში უეჭველად უნდა დაესწრონ ვაჭარ მრეწველთა კლასის წარმომადგენლები. საჭიროა ადგილობრივ სრულუფლებიან, სამთავრობო, საადმინისტრაციო და სასამართლო ორგანოების შექმნა. ამ ორგანოებმა ნამდვილ კანონის ძალით უნდა იმოქმედონ, ამისათვის კი საჭიროა, რომ სასამართლოს საქმეში ორგანიზაცია არ ერეოდეს და გვქონდეს იმის გარანტია რომ სასამართლოზე არავინ გარეშე გავლენას არ იქონიებს. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებმა ვაჭარ-მრეწველთა შესახებ სხვა და სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს წინასწარ განიხილონ ის საკითხები ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად. ყრილობა მოითხოვს, რომ ყველა წარმოების პატრონსა და მუშების შორის აღძრული სადავო საკითხი განხილულ იქმნეს პარტიულ ნიადაგზე შექმნილ ორგანიზაციებში და აეკრძალოს ვაჭარ-მრეწველთა კლასს თბილისის ქალაქის გამგეობის სალიკვიდაციო კომისიისადმი მიმართვა, ვინაიდან იგი ამ პრინციპს არღვევს. ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს თბილისის ქალაქის საბჭოში მყოფ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელს ა. ენფიანჯიანს, რომ მან განსაჩივროს თბილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება სალიკვიდაციო კომისიის შესახებ. ყრილობამ დაადგინა, რომ ე. ე. ხანდამოვი, რომელიც არჩეულია რესპუბლიკის საბჭოში სრულიად რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის მიერ, იცნოს ამიერ კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენლადაც, სთხოვს მას დაიცვას ვაჭარ-მრეწველთა ინტერესები დროებით საბჭოში.

2. რეზოლუცია მრეწველობის დემობილიზაციის შესახებ

ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა სცნობს რა მრეწველობის დემობილიზაციისათვის ყველა ტექნიკურ ძალთა და ფინანსიურ საშუალებათა დაჭირვას—აუცილებლად მიაჩნია მიმართვა საბჭოსადმი, რომ იგი დაუყოვნებლივ შეუდგეს საბჭოსთან საგანგებო კომისიის შედგენას დემობილიზაციისათვის. ხსენებულ კომისიას სრული კონტაქტი უნდა ჰქონდეს როგორც სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან და საქარხნო-სათათბიროსთან, ისე საბირჟო კომიტეტებთან და საოლქო და საქალაქო ბირჟებთან და ნავთის მრეწველთა, შავი ქვის მრეწველთა ყრილობათა საბჭოებთან და აგრეთვე მექარხნეთა, შეფაბრიკეთა, ტექნიკოსთა და სხვათა კავშირებთან. ვინაიდან ომის შემდეგ დაიწყება ყველა სავაჭრო ხელშეკრულებათა და საბჭოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვა, ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ ამ საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას, ვინაიდან ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა კლასს აქვს თავისი საკუთარი ინტერესები და განსაკუთრებულ ეკონომიურ და გეოგრაფიულ პირობებში იმყოფება. დემობილიზაციისათვის დანიშნულ კომისიამ უნდა შეიმუშავოს ყველა ზემოხსენებული საკითხები, რამდენადაც ეს საკითხები ამიერ-კავკასიის ვაჭარ მრეწველთა ცხოვრებას და ადგილობრივ ექსპორტულ და იმპორტულ ვაჭრობას შეეხება.

3. რეზოლუცია ვაჭარ-მრეწველთა კავშირის კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნის შესახებ

1) ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ კავშირს საკუთარი ყოველდღიური გაზეთი ჰქონდეს და ამიტომ ავალებს საბჭოს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები საკუთარ ორგანოს დასაარსებლად.

2) ყრილობას სასურველად მიაჩნია: ა) სამრეწველო მუზეუმის დაარსება, გეოგრაფიულ კარტის გამოცემა რუსულ და ადგილობრივ ენებზე, სავაჭრო-სამრეწველო კატალოგისა და ადგილობრივ სავაჭრო-სამრეწველო ფირმების სახელების გამოცემა, ბ) იმ ბიუროს დაარსება, სადაც შესაძლო იქნება ამა თუ იმ პირთა ნდობის შესახებ ცნობების მიღება, გ) საგანგებო ბიუროს დაარსება ტრანსპორტისა, ტარიფისა, ბაჟის, საქონლის შეტან-გატანისა და სხვათა შესახებ ცნობების შესაკრებად.

3) ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამიერ-კავკასიაში პროფესიული და კომერციული სასწავლებლები გამრავლდეს. ხსენებულ სასწავლებლების პროგრამები უნდა უახლოვდებოდეს ცხოვრებას და ადგილობრივ პირობებს.

ფრანგი ჟურნალისტი ჩვენს რედაქციაში

ჩვენს რედაქციას ეწვია ფრანგი ჟურნალისტი ბ-ნი რენე მეველი, „Petit Parisien“-ის თანამშრომელი. მასთან საუბარი იმდენად საინტერესოდ მივაჩნია, რომ მკითხველსაც გავუზიარებთ:

ბ-ნი რენე მეველი უდიდესად აღტაცებულია ჩვენი ქვეყნის მშვენიერებით.

ვით შეიძლება დაავიწყოს ადამიანმა ეს ქვეყანა,—სთქვა მან,—თავის მშვენიერი შეზავებული ჰავით, მუდამ ნათელი და ლაჟვარდით გადაკრული ცის თაღი, ეს ველური მაგრამ აუწერელი სინაზით მიზიდველი ბუნება, ან და მისი დედა ქალაქი თბილისი, ეს თვალ წარმტაცი მშვენიერების აუზი, სადაც გამოჰკრთის როგორც ევროპის კულტურის ცხოველმყოფელი ხელი, ისე აზიის ჯადოსნური ბუნების ძალა! ახლა სოფლები! ეს ხომ [illegible] პანორამაა ერთმანეთში გადახლართული ველურ და კულტურულ ქვეყნების ყვავილებისა, რომელნიც ჰქმნიან მთლიანს და წარუხოცელს მშვენიერებას, უცხოელისათვის სამარადისო ხსოვნის თაიგულსა! ჭეშმარიტად, პატრონნი ამა ქვეყნისა, ვის თვალწინაც საუკუნეთა მერანს ძლიერი ფრთებით გადაუფრენია, ღირსია თავისუფლების, მით უმეტეს, ღირსია სამარადისო სიცოცხლისა!

შემდეგ ბ-ნი რენე მეველმა გაგვიზიარა ის შთაბეჭდილებანი, რაც მას მიეღო მცხეთაში კათალიკოსის კურთხევის დღეს:

— მე, უცხოელი, რასაც განვიცდიდი ამ დღეს, გამოუთქმელია, მით უმეტეს გამოუთქმელი უნდა ყოფილიყო თვით ქართველთათვისაც, რომელთაც საიდუმლო აღტაცება ვეღარ დაემალათ, რაც ისე რიგად გამოკრთოდა ყველას საღმრთო ცეცხლით ანაპერწკლებულს თვალებში.

ამ შთაბეჭდილების გაზიარების შემდეგ ჩვენ მოვისურვეთ გაგვეგო, თუ რას ჰფიქრობენ პირადად ფრანგები იქ, საფრანგეთში?

— თქვენ, როგორც დიდ ჟურნალის თანამშრომელს, დაახლოვებით ეცოდინებათ, სახელდობრ როგორ უყურებენ ეროვნულს საკითხს?

— საფრანგეთის ფიქრი იგივეა, რაც საზოგადოდ მოკავშირეებისა. ვიდრე აქ წამოვიდოდი ეხლა და ჩემა

ამხანაგებიც, გატაცებით ვმსჯელობდით ეროვნულ საკითხის გარშემო. პირადად საქართველო, ახლილად ვიცყვი ჩვენ არ გაგვხსენებია, მაგრამ პრინციპი კი ის არის, რომ ყველა ერმა, რაც უნდა დიდი ან პატარა იყოს, უნდა იცოცხლოს თავისუფლად! საფრანგეთი მთელი თავისი წარსულით ამ პრინციპის თანახმად აწარმოებდა სახელმწიფოებრივს პოლიტიკას და მით უმეტეს დღესაც არ უღალატებს მას, ვინაიდან პრინციპი იგი მის ძვალსა და რბილში გამჯდარი, სხვანაირად ვეღარ იფიქრებს და აკი მოკავშირეებმაც სწორედ ამ ნიადაგზე გადადგეს ნაბიჯი: რუსეთმა პოლონეთი განთავისუფლა, ანთავისუფლებს ფინლიანდიასაც, ალბად შორიგ საკითხად გაიხდის დანარჩენს ერებსაც. ინგლისმა თავისუფლება მიანიჭა ირლანდიას და სხვა. ჩვენ, ფრანგებს, არვინა გვყავს განთავისუფლებელი და საბედნიეროდ, არც თუ გვეყოლება ვინმე მომავალში ან დაჩაგრული, ან მონობაში.

— კი, მაგრამ მარროკო, ალჟირი? განა დიდი ხანია, რაც შესწყდა იქ გენერალ ლიოტეს ზარბაზნების ხმა?—ამ შენიშვნაზე ბატონმა რენე მეველმა მკვირცხლად გვიპასუხა:

— ისინი ჩვენ არასოდეს დაგვიჩაგვრია: მათ ჰქონდათ თავიანთი სამართალი, კანონი, ფული, ჩვენ მხოლოდ მფარველობას ვუწევდით...

შემდეგ ისევ თავის საგანს დაუბრუნდა:

თქვენ, ქართველები, მოითხოვთ რომ სისრულეში მოყვანილ იქმნეს შეერთების 1783 წლის ხელშეკრულობა? კეთილი! ფრანგებს საწინააღმდეგო რა გვაქვსბა, რომ მტრად გვიგულოთ? თუ თქვენი მოქმედება კანონიერია, თუ კი თქვენს სურვილებს, თქვენს ლტოლვილებას საფუძვლად ესა აქვს, მაშინ საფრანგეთიც გამოგექომაგებათ, მაშინ თქვენ იპოვნით საუკეთესო მეგობარს, დამცველს, იგი ყოველგან და ყოველ ფერში თქვენთან ერთად იქნება. აი, ვეცდები, რომ საქართველოს შესახებ ყველა ეს კითხვები, რაც თქვენ გაწუხებთ და საზოგადოდ რაც კავკასიის ერებს შეეხება, საკმაოდ ფართოდ გავაშუქო ჩემს ჟურნალში, ჯერ-ჯერობით კი ის შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩვენ, ფრანგები, თქვენი მეგობრები ვართ. ჩვენში ვერ ჰპოვებთ გერმანელთა ფარულს ზრახვას, რომელთაც თქვენშიც საკმაოდ მოიპოვებს ფეხი და თქვენს ქონებას—შავს ქვას სწრაფად ჩაჰკიდეს ხელი. ჩვენ ვეცდებით, რომ ეს ქონება ისევ თქვენ დაგიბრუნდეთ, დაგეხმაროთ მის შეძენაში, თუ კი თქვენსა და ჩვენს შუა იქნება ძმური დამოკიდებულება. ეს კი სულ ადვილად შეიძლება. უკვე ქართველობა საკმაოდ მოწიფებული ხართ, თქვენი ახალგაზრდობა ფართოდ მოსდებიან ევროპას. ვენა, ბერლინი, სტრასბურგი თუ პარიზი არ ეუცხოვება დღეს ქართველ ახალგაზრდას. საჭიროა ეხლა ფართოდ შევაგნებინოთ ყველას, რომ საფრანგეთში იპოვნიან ყველაზე მეტს მასპინძლობას, რომ ჩვენ გვყავნან საკმაოდ ძლიერი და მსოფლიოზე უკვე ცნობილი პროფესორობა და მეცნიერნი, რომელნიც დიადი ცოდნით გამოიკვებებენ თქვენს შვილებს სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ. ესენი ჩვენგან წამოიღებენ ყველა მას, რაც ასე რიგად საჭირო იქნება თქვენი ხალხის წინ წასასვლელად და საბედნიეროდ.

ამის შემდეგ ბ-ნმა რენე მეველმა ფართოდ გაგვაცნო თავის განზრახვანი, თუ როგორ მოიკრებია საქართველოს ცნობები ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ვითარებისა, რასაც გააცნობს თავის [illegible] საეკონომიო ჟურნალებში. საჭიროა, რომ ორივე ქვეყნის სწავლულნი და მეცნიერნი ასეთ გზით მალე ერთმანეთს გამოეხმაურონ, რომ მათი ურთიერთობა სასურველ კავშირზე გადავიდესო.

გამოთხოვებისას რენე მეველი დაგვპირდა, ვფიქრობ, ბედნიერება მექნება ერთხელ კიდევ შემოვიარო აქ, ან და ფრანგული ენის მცოდნე ქართველობას ერთი სიტყვით შევწირო იმის გასაცნობად, თუ რას ვფიქრობთ ჩვენ, ან მომავალში როგორ მოვიქცეთ ურთიერთობის განსამტკიცებლად.

დ. კახრაძე.

აფხაზეთის სიწმიდენი

მას შემდეგ, რაც რუსეთის ორთავიანი არწივი დაეპატრონა აფხაზეთის მიწა-წყალს, იგი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძვლიანად სული ამოეხადა ამაყ და შეუპოვარ აფხაზებისათვის და უპირველეს ყოვლისა საქართველოსათვის ჩამოეშორებინათ და გამოეცალკევებინათ. ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა ეკლესიას დაეტაკნენ და მთლად გაარუსეს იგი. აბა შეჰხედეთ ეხლა ბიჭვინთის, ათონის, დრანდის, მოქვსა და სხვა ქართველ-აფხაზთა სიწმინდეებს რა მოუვიდათ იმათ, მთლად ერთიანად რუს ბერთა და მონოზანთა სავანედ გადაქცეულან იგინი. რუსნი დაჰპატრონებიან ამ სიწმინდეთ და ასე გასინჯეთ გარეგნული მხარეც კი ეკლესია-მონასტრებისა მთლად შეუცვლიათ და შეუბღალავთ, რათა ყოველივე ნიშანწყალი ქართულის კულტურისა და ხუროთმოძღვრებისა აღმოეფხვრათ მათში. ამ ზღვასავით წამოსულს ტალღას ყოველი ქართულის განადგურებისას ძლივს-ძლიობით გადაურჩა აფხაზეთში ორათ-ორი-ღა სიწმინდე ქართველებისა. ეს გახლავთ ბედიის მონასტერი და ილორის წმინდა გიორგი. ბედია ეს დიდათ შესანიშნავი მონასტერ-სავანეა. ბედი მისი ისეთივეა, როგორიც დანარჩენ საქართველოსი. დროთა ვითარების გამო იგი ქართველთაგან მიტოვებული მთლად ტყესა და ბუჩქნარს დაეცა და ისეთ ნაირად დაეფარა და დაეჩქმალა, რომ აფხაზები აქ თურმე მარტო-ღა ნაპარავ საქონელს ინახავდნენ და მალავდნენ. ასეთს გარემოებაში იყო თურმე ეს მონასტერ-სავანე, სადაც ბაგრატ მესამეს საფლავია და მხოლოდ ამ 15 წლის წინად ერთ ქართველ ბერ-მონაზონს უდვია თავზედ მისი განახლება-გამშვენიერება. ბევრი ცდა და გაჭირვება გამოსცადა ამ ბერმა, ვიდრე უბრალო ნებართვას მისცემდნენ მონასტრის განახლებისას. რუსებს თავისთვის ეწადათ მისი გამოყენება და რუსულ მონასტრათ ქცევა და ამიტომ სოხუმის ეპისკოპოსი წინააღუდგა მის განახლებას და ქართულ მონასტრად ქცევას. ბერი იძულებული იყო მონასტრის ზღუდეთა გარეთ აეშენებინა პატარა ეკლესია და იქ ევედრებოდა ღმერთს. მხოლოდ ეპისკოპოსის გამოცვლამ და ახალის დანიშვნამ გადასწყვიტა მონასტრის ბედი. მოაგზავნეს სოხუმის ეპისკოპოსი ანდრია, რომელიც დიდხანს არ დაყენა კავკასიაში რუსეთის ბიუროკრატიულმა სინოდმა ქართველთადმი თანაგრძნობისათვის, ნება დართო ბედიის მონასტრის გადაკეთება-განახლებისა და კარგა ბლომა შეწირულებანიც უძღვნა მონასტერს. აქედგან იწყება მონასტრის ბედის გაუკეთესება, ადგილობრივმა თავადიშვილებმა შერვაშიძეებმა კიდევ 50 დესეტინაზედ მეტი შესწირეს მონასტერს, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში, მონასტრის მთავარი ტაძრის განახლებას დიდძალი ფული სჭირია. დღეს მისი გუმბათი და ნახევარი სახურავი ჩამონგრეულია და გაქილებული. უქმეროთ საბრალო ბედიის გულსაკლავად ჩამომტვრეულ კედლებს, მის ჯერ კიდევ კარგად შენახულს ფრესკებს, მის ირგვლივ კიდევ სხვა დანგრეულს შენობებს, ღარიბ-ღატაკ ბერ-მონაზვნებს და ძალაუნებურად გაგონდებათ სხვა მონასტრები აფხაზეთისა, დრანდა, მოქვი, ათონი, ბიჭვინთა და გული ბოღმით გევსებათ. იქ სიმდიდრე, ფუფუნება, განცხრომა, საუცხოვოთ შემკული ეკლესია-ტაძრები, დარაჯული მოლოზან-ბერები და აქ კი ქართულს მონასტერში ყოველივე დანგრეული და უფლება აყრილი.—დიახ, დიახ ნაძვეილი გერები და უძღები შვილები ვყავდით ჩვენ რუსეთის ეკლესიისათვის. ნუთუ იმას არ უნდა ეზრუნა ბედიისათვის, ნუთუ მისთვისაც არ უნდა მიეცათ დახმარება-შეწევნა, ნუთუ მისთვ საც არ უნდა გადაეგდოთ ერთი ლუკმა, რომ ჩამომტვრეულ კედლებისათვის მაინც არის ცრემლები მოეწმინდათ.

— ეჰ, ხელის ჩაქნევით ამბობთ თქვენ, და მიმოავლებთ თვალს ადგილმდებარეობას მონასტრისას, რომელიც მეტად თვალწარმტაცია და მოხდენილი. უშველებელი მთის ბორცვი, რომელიც კავკასიის ერთ შორეულს სვეტს წარმოადგენს, აღმართულია სხარტულად საუცხოვო ადგილს, რომელზედაც გაშენებულია მონასტერი. ერთის მხრივ თქვენს თვალს იტაცებს კავკასიის მთაგრეხილი თავის მუდმივი სპეტაკი თოვლ-ყინულით, მეორეს მხრით კიდევ შავი ზღვა ვერცხლსავით მოლაპლაპე მზის ბრწყინვალე სხივებზედ. მშვენიერი სურნელი ჰავა შეზავებული ზღვისა და მთის წმინდა და სურნელოვან ჰაერით ერთი ათად უფრო მიმზიდველად ხდის მის ადგილ-მდებარეობას, ამას მიუმატეთ ნიადაგის სიმდიდრე, საუცხოვო წყაროები მონასტრისავე კარ-მიდამოში და ადვილად მიჰხვდებით თუ რათ არ უნდოდათ რუსებს მისი ხელიდგან გაშვება. ეს ტურფა წალკოტი მშვენიერს ადგილს წარმოადგენს ყოველ მხრივ სანატორიუმის გასახსნელად და ჩვენს ახალს ავტოკეფალურს ეკლესიას თავისუფლად შეეძლო სასულიერო პირთათვის მაინც გაეხსნა სანატორიუმ-მონასტერი.

დიახ, განახლებული ქართული ეკლესია მოვალეა დიდი ყურადღება მიაქციოს ამ შესანიშნავს და გამოსადეგს მონასტერს და საქართველოს ეკლესიის განახლებასთან ერთად ეს ძველი ნაშთიც ქართველთა დიდებისა განაახლოს და აღადგინოს მის გავერანებული და ჩამომტირალი კედლები. ამას მოითხოვს სამართლიანობა და გულშემატკივრობა ქართველთა ეკლესიისა.

მეორე სიწმინდე, რომელიც გადარჩა გარუსებას გახლავთ ილორის წმინდა გიორგი, რომელიც უპირველეს სიწმინდეთ ითვლება მთელს აფხაზეთში და რომელსაც მოწიწებითა და კრძალვით ეპყრობა ყოველი აფხაზი. ეს ისეთი წმინდათა წმინდაა ყოველი აფხაზისა და მეგრელისათვის, რომ მასზედ-ღა მარტო ლოცულობს და ევედრება ღმერთს აფხაზი. რაკი სხვა სიწმინდენი რუსებს ჩაუგდიათ ხელში, ამიტომ მთელი აფხაზეთი მხოლოდ ამ ეკლესიის გარშემო იკრიბება, ქრისტიანი და ხშირად მუსულმანიც აქ მიდის სალოცავად და ფიცის მისაღებად. დააშავა რამე აფხაზმა ან მეგრელმა, ცილი დასწამეს რამე თუ ბოროტ-მოქმედება დააბრალეს იგი მიდის ილორში და თუ იქ წმიდა გიორგის ხატის წინ დაიფიცა, რომ იგი უდანაშაულოა, მაშინ ყოველივე ეჭვი მის დანაშაულობაში ისპობა და ის მართალი ადამიანი ხდება. და უნდა იცოდეს ადამიანმა თუ რამოდენა სახელი აქვს და რანაირადა სწამთ მთელს აფხაზეთში ილორი, რომ სრულიად დარწმუნდეს ადამიანი ფიცის სიმართლეში. ვერც ერთი რაც გინდა რეგვენი და ურწმუნო იყვეს ვერ გაჰკადნიერდება და ვერ გაბედავს ტყუილი ფიცი მიიღოს. ილორი ყოველი აფხაზისათვის ისეთი სათუთი რამ არის, ისეთი ზესარწმუნოებრივი რამ, რომ აფხაზი უმალ სიკვდილს ირჩევს ვიდრე ტყუილ ფიცის მიღებას. და მართლაც როგორ არ უნდა სწამდეს აფხაზს ილორი, იმ აფხაზს რომელსაც ცოტათი მაინც აქვს პატივის ცემა თავისის წარსულისა და კულტურისა. აქ ილორის ეკლესიაში არის თავმოყრილი ყოველივე საეკლესიო კულტურული ნაშთი აფხაზეთისა. აქ არის დიდებული ხატი ილორის წმინდა გიორგისა, მეორე უფრო დიდი ხატი წმინდა გიორგისავე დადიანისაგან შეწირული, დიდი უზარმაზარი ჯვარი, რომელზედაც წმინდანებია გამოჩუქურთმებული, ოქროს ბარძიმი, ბედიის მონასტრის კუთვნილი და სხვა მრავალი საეკლესიო ნივთები სხვა და სხვა ეკლესიებიდგან გადმოტანილი. ერთის სიტყვით ამ ეკლესიაში თავი მოუყრიათ ყველა იმ საეკლესიო ნივთებისთვის რაც კი სხვაგან გადარჩენილა რუსთა ჩანთქმას და გატაცებას. აი სწორედ იმიტომ სწამს, უყვარს და პატივით ეპყრობა ილორს ყოველივე აფხაზი. იგი დააქციეს, წაართვეს მას ყოველივე და აი მხოლოდ ეს-ღა ერთად ერთი სიწმინდე და შერჩენია და მას და შეჰხარის იგი, მისით ითქვამს სულს და მასზედ იკლავს სარწმუნოებრივს ჟინსა და ლტოლვილებას. ილორი მისთვის—ეს მთელი სარწმუნოებრივ [illegible] და აი ამიტომაა რომ ყოველდღე მლოცველებით სავსეა იგი. ისე დღე არ გაივლის, რომ ასი-ორასი კაცი არ მივიდეს მის წმიდათა-წმინდა ტაძარში და წმინდა გიორგის ხატს არ ემთხვიოს და არ შეევედროს.

ასეთია ილორი აფხაზეთისათვის, ამიტომ საჭიროა და აუცილებელიც რომ დღეს საქართველოს ეკლესიის განახლებასთან აღდგენილ იქმნეს კათედრა ბედიელის ეპისკოპოსისა, რომელსაც მუდმივ საცხოვრებელი ბინა ილორში ექნება. დიდი მნიშვნელობა ექნება აქ, საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას, მაგრამ ამაზედ შემდეგ წერილებში.

ზ. ედილი.

ჩვენი ტყე

რა მშვენიერება, რა დიდება და სიამაყეა ბუნებისა! რა ღარიბია ის ქვეყანა, სადაც ტყე ნაკლებად არის, სადაც იგი არ ამშვენებს მდებარეობას. ტყე, ტყე!! მართლაც და როგორი უძვირფასესი განძია ბუნებისა. რამდენ სარგებლობას აძლევს ადამიანს! სარგებლობას არამც თუ მხოლოდ ნივთიერს, არამედ ესთეტიურსაც. რამდენი ფიქრი, რამდენი ზრახვა გამოუწვევია მის ფოთლების შრიალს, მის ტოტების რხევას, მის მოსალბუნე ნიავს!.. მხოლოდ ის იგრძნობს იმ ბუნების დიადობას, ვინც ხშირად ტყეში არის ნატარი, ვისაც გამოუცდია მისი მისტიური საიდუმლოება. მაგონდება ვაჟა-ფშაველა. აი ადამიანი—რომელსაც შეეძლო „თვალებ-დახუჭული“ ტყის ფოთოლთა შრიალზე გაეგო თუ რა დრო იდგა!! შეეძლო გაეგო ტყის ენა და ესაუბრა მასთან როგორც ადამიანთან. დიახ, იგი იყო ნამდვილი ბუნების შვილი. მას სავსებით თავისი დიადი სპეტაკი გულით უყვარდა ბუნება, მასში ხედავდა მოსვენებას და სიტკბოებას. შეიძლება მკითხველსაც გამოუცდია ის ესთეტიური განცდა და სიტკბოება, როდესაც ადამიანი კითხულობს მის მშვენიერ ნაწარმოებში—ბუნების მშვენიერ აღწერას?! ამ ადამიანს არაფერი გამოჰპარვია, როდესაც ბუნების ჰარმონიაში დისჰარმონია შეჰქონდა. აგერ, ვიღაცამ ტყეში ცული დაჰკრა ხეს და „კვნესით“ დაეცა ძირს! მხოლოდ ვაჟაფშაველამ შეამჩნია რომ ხესაც თურმე კვნესა სცოდნია! და ამ კვნესას როგორ აუღელვებია მისი სული! ეხლა რომ ცოცხალი იყოს ვაჟა ხომ გაგიჟდებოდა ამ „კვნესით“?! „ჩახ“, „ჩახ“! საზარელი კვნესით ეცემა დედამიწაზე ზედი-ზედ ამაყად მდგარი ხეები. ნუ თუ ადამიანი მხოლოდ მატერიისთვის უნდა ცხოვრობდეს, ნუ თუ მითვის საჭირო არ არის ბუნების სილამაზე, სიკეკლუცე? რაც კი რამ დაბადებულა ბუნებაში—განა მხოლოდ ნივთიერი ღირებულება აქვს და სხვა არაფერი?! მაგრამ თურმე ჯერ კიდევ ბარბაროსი ყოფილა ადამიანი, თუ როგორ კაფავს შენახულ ტყეს, მტრის ბანაკსავით მისდგომია და ანადგურებს შეუბრალებლად. მაგალითები ბევრია. ჩვენ თუნდ მხოლოდ კახეთს დავასახელებთ. შეუწყნარებელია პირდაპირ თუ როგორ ვერაგულად ეპყრობიან აქ დღეს გაღმა-გამოღმა მდებარე ტყეებს. თითქოს თავის დიდი ხნის დაგუბებულ რისხვას ტყეზე იყრის ჯავრსაო, მისდგომია და საზარლად აჟერანებს. ეს იმ ტყეებს, რომლითაც სარგებლობდნენ თავადიც და გლეხიც. დღეს კი ეს გლეხი სპობს ამ ტყეს და გაიძახის: „აქამდის თუ თავადიშვილისა იყო, დღეს იგი ჩემია, რასაც მინდა იმას გავაკეთებო“. მერე ვინ ართმევს ტყეს? თუ არა ისევ თითონვე არა სპობს თავისივე დოვლათს. კახეთის ყოველ სოფელში თავადიშვილი მცხოვრები ბევრი-ბევრი ხუთი ან ექვსი კომლი იყოს. გლეხი კი ხუთასიდამ ათასამდე აღწევს! მაშასადამე ტყე ვის უფრო მეტი დასჭირდება? რასაკვირველია, გლეხს! მერე რადა სჭრის ასე „ჯაბრით“? ვინმე დაუშლის, თუ კი ზომიერად გამოიტანა და ტყეს ზიანს არ მიაყენებს? არავინ. მაგრამ თავისუფლებამ მეტად გაათამამა ჩვენი გლეხი. იგი ეხლა აღარაფერს დაგიდევთ. მას სრულიადაც არ უნდა შეიგნოს, რომ ტყე [illegible] არ იძლევა. ჰაერი წყალი, ამიდი მისგან არის დამოკიდებული, მისგან წარმოსდგება ყოველივე ეს. თუ აუხსნი დაგცინებს კიდეც: „ჩვ დაილოცვილიშვილო, წყალი ხიდან ხომ არ გამოდისო“. სულ უბრალო საქმის მოვლა და გაფრთხილება ჯერ ძნელი ყოფილა ჩვენი გლეხისთვის. საჭიროა ისევ მფარველობა. მფარველობა განიერი, რომ ჩააგონოს თავისი საქმის მოწესრიგება. თორემ უფსკრულისაკენ მიექანება შეუგნებელი ხალხი. საჭიროა ეხლავე აკრძალოს ასეთი ვერაგული ტყის განადგურება, რომ შემდეგში ჩვენმა ხალხმა თავისივე კბილით არ იგლიჯოს თავისი ხორცი.

ვ. გახრიკი

კორესპონდენცია

ხევიდან

ხევი. რვა დღეა შემთხვევით ყაზბეგში ვარ. მკითხველის ყურადღებას მივაქცევდი ხევის გაჭირვებაზე უსურსათობის გამო და ყველა იმას, რასაც არა ერთი კუთხე საქართველოსი განიცდის ომიანობის გამო. მაგრამ განა შეიძლება ასეთ საკითხებზე ლაპარაკი და ჩივილი იმ დროს, როდესაც სხვა, უფრო ასეთ გაჭირვებებთან შედარებული გაჭირვებაა მომდგარი კარს?

პირველ დღესვე გადმომცეს ჩემთვის ახალი, მაგრამ თურმე, როგორც გავიგე, ამ უკანასკნელ ხანში აქეთ ჩვეულებრივი ამბავი: გუშინ ლარსთან ქურდები თავს დაესხნენ ყიზლარისკენ მიმავალ მე ხვარეს და ორასი სული ცხვარი წაართვეს. მეორე დღეს აგრეთვე ამბავი: ქურდები თავს დაესხნენ მოხევეს და 120 სული ცხვარი წაართვეს, ან და ქისტები თავს დაესხნენ მეცხვარეებს, ჰქონდათ ხანგრძლივი სროლა, სროლის დროს მოკვდა 50—60 სული ცხვარი, მეცხვარეები გადარჩნენ... ქისტები დახვდნენ ძაუგიდან (კავკავიდან) მიმავალ მეურმე მოხევეებს, გაძარცვეს, ცხენები, ურმები, მოკაზმულობა, ფული და ყველაფერი რაც კი ებადათ წაართვეს და ცარიელი კაცები გამოისტუმრეს. ქისტები დაეცნენ № ოჯახს, წაართვეს 6 სული ძროხა და სხვა, პატრონი ელჩს უგზავნის, ეხვეწება, ძროხების დაბრუნებას სთხოვს ქისტებს, ქისტები სთხოვენ პატრონს თითო ძროხაში 300 მან., ვაჭრობენ... როგორ მოგწონს, მკითხველო, საკუთარი ძროხების ყიდვა... ქისტები დაეცნენ ლარსთან ძაუგში სამინდზე მიმავალ მოხევეებს, გაძარცვეს. ფული წაართვეს და ცარიელები გამოისტუმრეს უკან ან და ქისტები დაეცნენ № სოფელს, გაძარცვეს, საქონელი გარეკეს, იქვე გააუპატიურეს ქალები და თანვე წაიყვანეს ტყეში, როდემდის ვინ იცის... ქისტებმა შემოუთვალეს მოხევეებს: ესა და ეს მთები ჩვენია, გაზაფხულზე ფეხი არ დაადგათ, თორემ ვაი თქვენი ბრალი... და ყოველ დღე აი ასეთი ანალოგიური ამბები მოდის. ყველა ეს ხდება აშკარად, მოურიდებლად, დაუფარავად—შუადღისას.

ჯერ-ჯერობით ქისტებს ყაზბეგამდის მოსვლა ვერ გაუბედნიათ თუ არ უნებებიათ, მაგრამ, ვგონებ, აღარ დააყოვნებენ და მალე უიარაღო მოხევეების შუაგულ სოფლებს და ოჯახებს დაუწყებენ რბევას და აწიოკებას.

ყველას კარგად მოეხსენება როგორც არიან შეიარაღებულნი ქისტები, რითი უნდა გასცეს მოხევემ პასუხი? დაღონებული მოხევე კითხულობს, რა გვეშველება, როგორ უნდა მოვუაროთ თავს, ნეტა არას გვიშველის მთავრობაო... და აბა რა შეიძლება პასუხად მწარე ღიმილის მეტი. აუტანელია მდგომარეობა, უიარაღო მოხევე საშუალებას მოკლებულია თავი დაიცვას აკლება-აწიოკებისაგან, მთელ ხევში მხოლოდ ხუთი მილიციონერი ჰყავთ და ისინიც პოლიციის საქმეებს უნდებიან.

მოკლედ ვიტყოდი, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩვეულებრივ: საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს მეტად ვისაც ჯერ არს, მაგრამ ვისი ყურადღება? „ვინ არის ეს „ჯერ არს“, ვინ არის პატრონი? ან იქნებ ის, ვინც პატრონობას ჩემობს მთელი ქართველი ერისას და თითონ კი უფრო მიზეზი ასეთი მდგომარეობისა? ხევსურეთი, ქუთაისი, ხევი—ტიალი ქვეყანაა...

უპატრონოს პატრონი—უპატრონობა, ვიდრემდის თვითონვე უპატრონო თავის თავს არა სცნობს თავის პატრონად!

ნ. კაიშაური

წერილი რედ. მიმართ

ბ. ტიგრან ნაზარიანის ლავაშების გარშემო.

მოწყალეო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის მე-229 ნომერში წერილია ამ სათაურით: „უპურობა თბილისში და ტიგრან ნაზარიანცის თეთრი ლავაშები“. სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „აღინიშნა, რომ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება ამ ფქვილს მარტო სომეხ ლტოლვილებს როდი აძლევს თურმე, არამედ სხვა საქმეებსაც ახმარებდა. მაგალითად, საზოგადოებასთან კარგი მეგობრული განწყობილება ჰქონია ცნობილ ტიგრან ნაზარიანცს, რომელსაც საწყობიდან კარგი ფქვილი ეძლეოდა, თავის ჟურნალის „ალბიურის“ ხელის მომწერლებს პრემიად აძლევდა თურმე თითო თეთრს ლავაშს.

ეს გამომჟღავნება კრებაზე საგუბერნიო სასურსათო გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ს. ა. დანდუროვმა“. ვერ გამიგია, ვის რათ უნდა და გაზეთის ფურცლებზე იმის გამოქვეყნება, რის უსაფუძვლობაც იმავე თათბირზე დავამტკიცე.

საქმის გარემოება ასეთია: დანდუროვმა თათბირზე მოიწვია საზოგადოებრივ ორგანიზაციების (ქალაქთა და საერობო კავშირების, სამხედრო სამრეწველო კომიტეტის, წითელი ჯვრის, სადამშვიდებლო დეპუტატის და სხვათა) წარმომადგენლები. თავის სიტყვაში ს. ა. დანდუროვმა [illegible] შორის აღნიშნა [illegible] ეს. მე, როგორც სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა მაშინვე შევაწყვეტინე სიტყვა და ზედმიწევნით შემდეგი განვუცხადე: „როგორც სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი ვაცხადებ, რომ დღიდან ჩვენი საწყობის დაარსებისა დღიდან არც ერთი გირვანქა ფქვილი არ მიუღია. რაც შეეხება ნაზარიანის მიერ თავის ხელის მომწერლებისადმი თეთრი ლავაშების დაგზავნას, პირადად მე მოვითხოვე, რომ გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა ენერგიული ზომები მიიღოს ამის გამოსარკვევად, თუ რამდენად მართალია ეს, საიდან და როგორ იღებს ნაზარიანი ფქვილს.

ვფიქრობ, რომ ეს გამოკვლევა გამოაშკარავებს სხვა დაწესებულებისა და არა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების სასურსათო განყოფილების ნაკლულევანებებს.

სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასურსათო განყოფილების გამგე **ა. ა. მიანსაროვი.**

რედაქტორი **ხარიტონ ვაჩნაძე.**

კალენდარი

პარასკევი ღვინობისთვის

21

ქართ. მწ. მოწ. ნესტორისა.

კათოლ. წმ. რაბინაისა.

მაჰმად. ჯუმა 23 რ. მუხარამი 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშიშ 24 რ. ხეშვან 5678 წ. ქვ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 5,	11.32 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 19,	8. 17 დილ.
„	„	№ 17,	8.19 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 3,	9.51 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.46 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 4-8,	12.15 საღ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.58 დილ.
„	საფ.	№ 6,	7.41 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 20,	7.57 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.26 დილ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.30 საღ.
[illegible]	საფ.	№ [illegible],	7.53 დილ.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—38)

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა 5-დან 7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 41

ტელეფონი № 14—09

თ—719—33

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—10

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქრონიკულ სნეულებებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.